ო ქ მ ი

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის

ფინანსური დახმარების განხორციელების

შესახებ

საქართველო, წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, და თურქეთის რესპუბლიკა, წარმოდგენილი თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბის მიერ, (შემდგომში "მხარეებად" წოდებულნი) ხელმოწერილი „სამხედრო გრანტის შესახებ" ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური დახმარების გამოყენების მიზნით, შეთანხმდნენ ქვემოთ მოყვანილ მუხლებზე:

<u>მუხლი 1</u>
<u>მიზანი</u>

ამ ოქმის მიზანია განსაზღვროს თურქეთის რესპუბლიკის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გადასაცემი 228.000 (ორას ოცდარვა ათასი) ახალი თურქული ლირის ეკვივალენტი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური დახმარების განხორციელების პირობები.

<u>მუხლი 2</u>
<u>ფარგლები</u>

თურქეთის მხარის მიერ გაღებული ფინანსური დახმარება გამოყენებულ იქნება შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პერსონალის თურქეთში პარტნიორობა მშვიდობისათვის და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სასწავლო ცენტრში კურსების გავლასთან დაკავშირებული ხარჯები.
2. ორმხრივი ურთიერთობების გაბრდის და ნატო-ს პარტნიორობა მშვიდობისათვის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის თურქეთში ვიზიტებთან დაკავშირებული ხარჯები.
3. სხვა შესაბამის მოთხოვნილებებთან დაკავშირებული ხარჯები.

<u>მუხლი 3</u>
<u>განსახორციელებელი პრინციპები</u>

ფინანსური დახმარების განსახორციელებელი პრინციპები მდგომარეობს შემდეგში:

1. 142.500 (ასორმოცდაორი ათას ხუთასი) ახალი თურქული ლირის ეკვივალენტი აშშ დოლარში გამოყოფილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პერსონალის თურქეთში პარტნიორობა მშვიდობისათვის და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სასწავლო ცენტრში კურსების გავლასთან

დაკავშირებული ხარჯებისათვის და თანხის გამოყენების პრინციპები არის შემდეგი:

ა. გამოყოფილი თანხა გამოიყენება საქართველოს სამხედრო პერსონალის თბილისში ჩამოსვლის ბილეთის, კვების/განთავსების, კურსის ღირებულების და სხვა ხარჯების უზრუნველსაყოფად.

ბ. კურსისათვის პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებული დაგეგმარება განხორციელდება ყოველწლიურად, არსებული პროცედურების შესაბამისად.

2. 42.750 (ორმოცდაორი ათას შვიდასორმოცდაათი) ახალი თურქული ლირის ეკვივალენტი ამშ დოლარში გამოიყოფა მხარეთა ორმხრივი ურთიერთობების განვითარების მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო პერსონალის თურქეთში ვიზიტებთან და ნატო-ს პარტნიორობა მშვიდობისათვის ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის.

3. 42.750 (ორმოცდაორი ათას შვიდასორმოცდაათი) ახალი თურქული ლირის ეკვივალენტი ამშ დოლარში გამოიყოფა სხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომელიც შეიძლება მხარეთა შორის წარმოიშვას ამ ოქმის მოქმედების განმავლობაში.

4. თურქეთის რესპუბლიკის მიერ გამოყოფილი ფინანსები გადაირიცხება, თბილისში თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო აგენტის მიერ განსაზღვრულ ბანკის ანგარიშზე. ამ თანხის გამოყენება განხორციელდება თბილისში თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო აგენტის კონტროლის ქვეშ, თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბის მიერ მიცემული დირექტივების შესაბამისად.

5. საჭიროების შემთხვევაში თანხებს შორის გადანაწილება მოხდება თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბის მიერ.

მუხლი 4
ცვლილებები და დამატებები

ამ ოქმში, მხარეთა თანხმობით, შეიძლება შევიდეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც გაფორმდება ცალკეული ოქმების სახით, რომლებიც ჩაითვლება ამ ოქმის განუყოფელ ნაწილად და ძალაში შევა ოქმის მე-6 მუხლის დებულებების შესაბამისად.

ამ ოქმის განხორციელებისას წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 5
ხანგრძლივობა

ეს ოქმი ძალაში რჩება თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურების დასრულების შესახებ შეტყობინებიდან მის სრულყოფილად ათვისებამდე.

მუხლი 6
ძალაში შესვლა

ეს ოქმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ძალაში შესვლისათვის აუცილებელი მიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ უკანასკნელი შეტყობინების მიღების დღიდან.

შესრულებულია 2008 წლის 14 11, ქ. [illegible], ორ დედნად, თითოეული ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია. მხარეთა მიერ წინამდებარე ოქმის დებულებათა განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს სახელით

მამუკა სამხარაძე

ვიცე-პოლკოვნიკი
საქართველოს თავდაცვის ატაშე
თურქეთის რესპუბლიკასა და
ბულგარეთის რესპუბლიკაში

თურქეთის რესპუბლიკის სახელით

სემიპ ჩეფინი

ვიცე-ადმირალი
თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული
ძალების გენერალური შტაბის ძალთა
განვითარებისა და რესურსების მართვის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე